

ა. ი ლ ვ ი ძ ე

## ივანე მაჩაბელი და მეუღის ცენზურა

თბილისი

1956

## ივანე მაჩაბელი და მუხის. ცენზურა

„ქვეყნის ღვინი ღვინად უნდა,  
ქვეყნის კირი სკირდა კირად“  
აკაკი.

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ნიჭიერი პუბლიცისტი და ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ივანე გიორგისძე მაჩაბელი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. 1873 წელს მან ილია ჭავჭავაძესთან ერთად თარგმნა ინგლისური ენიდან შექსპირის ტრაგედია „მეფე ღირი“. 1875 წელს მისი პირველი საგაზეთო წერილი დაიბეჭდა „დროებაში“ და აქედან დაწყებული იგი დაუცხრომლად ეწეოდა საზოგადოებრივ და სალიტერატურო მუშაობას. შექსპირის დრამების ქართულად გადმოთარგმნით მან დიდი ღვაწლი დასდო მშობლიურ სცენას, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულ დრამატიულ მწერლობაში და უზადლო მთარგმნელის სახელიც ღირსეულად დაიმსახურა. მისი თარგმანები შექსპირის დრამებისა დღემდე შეუცვლელია ქართულ სცენაზე.

1879 წლიდან ი. მაჩაბელი ჟურნალ „ივერიის“ რედაქციაში თანამშრომლობდა ბუნებისმეტყველებისა და ბიბლიოგრაფიის დარგში და სისტემატურად ათავსებდა წერილებს სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე.

1881 წლის ბოლოს ი. მაჩაბელი მიწვეულ იქნა ი. ჭავჭავაძის თანარედაქტორად ჟურნალ „ივერიაში“ და ამ დროიდან 1883 წლის აპრილამდე „ივერიის“ რედაქტორობას ფაქტიურად ი. მაჩაბელი ასრულებდა ოფიციალური რედაქტორის ი. ჭავჭავაძის საბანკო საქმეებით გადატვირთულობის გამო.

1883 წლის ივნისში, თითქმის 15 წლის დაუთალავი მუშაობის შემდეგ, უზომო შრომით დაქანცულმა და დაავადებულმა სერგეი მესხმა გაზეთ „დროების“ რედაქტორობა ი. მაჩაბელს გადასცა.<sup>1</sup>

გაზეთი „დროება“ 1866 წლის მარტში დაარსდა. მისი პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი იყო. დასაწყისში გაზეთს ძირითადად ლიტერატურული შინაარსი ჰქონდა.

<sup>1</sup> 1883 წლის 21 ივნისს მთავარმართებელმა ნება დართო რედაქტორ-გამომცემელ სერგეი მესხს საგამომცემლო უფლებები ჭაზეთ „დროებაზე“ გადაეცა გიორგი ქართველი შვილისათვის, ხოლო სარედაქტორო უფლებები ი. მაჩაბლისათვის.

1869 წელს გაზეთი „დროება“ სერგეი მესხის ხელში გადავიდა. მან ის ცოცხალ პოლიტიკურ ორგანოდ აქცია. გაზეთისათვის პოლიტიკურ მიმოხილვებს ნ. ნიკოლაძე ადგენდა, ხოლო ფელეტონებს აკაკი წერეთელი წერდა. თავიდან გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, 1875 წლიდან გაზეთმა კვირაში სამჯერ იწყო გამოსვლა, ხოლო 1877 წლიდან „დროება“ ყოველდღიურ გაზეთად გადაიქცა.

უწინააღმდეგავად „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ქართული პროგრესულ-დემოკრატიული ინტელიგენცია გაზეთ „დროებაში“ დამკვიდრდა და მის ფურცლებზე ავითარებდა სამოციანი წლების დასაწყისში თერგდალეულთა მიერ შემუშავებულ პროგრამას. „დროება“ ძირითადად განაგრძობდა ბრძოლას იმ სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ, რომელიც ილიას „საქართველოს „მოამბემ“ აღმართა. მაგრამ „დროების“ მოღვაწეობა გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო და მისი პროგრამაც ახალი დროისა და ვითარების შესაბამისად გარდაქმნილი.

„დროება“ და მის გარშემო დარჩენილი ინტელიგენცია გაბედულად აყენებდა ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. აქ გამოძახილს პოულობდა ყოველი ახალი და მოწინავე. საკმარისია გავიხსენოთ ის ძლიერი გამომხატურება, ალტაცება და მხურვალე თანაგრძობა, რომელიც პარიზის კომუნის გამარჯვებამ ჰპოვა ხსენებული გაზეთის ფურცლებზე.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს „დროების“ პროგრამისა და შინაარსის განხილვა, ვიტყვი მხოლოდ, რომ „დროება“ მისი დაარსებიდან დაწყებული დახურვამდე (1866—1885) ქვეყნის ყველაზე უფრო პროგრესულ ძალებს ემყარებოდა, ამ ძალებს იკრებდა გარშემო, ქართული აზროვნების განვითარების ყველაზე უფრო მოწინავე პოზიციებზე იდგა და თავისი საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის პერიოდში ერთ-ერთი მოწინავე პრესათაგანი იყო მაშინდელ რუსეთში და ყველაზე უფრო მოწინავე ორგანო საქართველოში.

1883 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, „დროებას“ ი. მაჩაბელი ჩაუდგა სათავეში. საქმისადმი დიდი სიყვარული, დაუშრეტელი ენერჯია, საეურნალო-სარედაქტორო მუშაობის საფუძვლიანი ცოდნა და დიდი ერუდიცია, რომელიც ახასიათებდა ახალ რედაქტორს, საწინდარი იყო იმისა, რომ გაზეთი კიდევ უფრო ფართოდ გაშლიდა ფრთებს და ახალ ვითარებაში წამოჰკრიდა საკითხებს ღრმად ჩასწვდებოდა და გააშუქებდა. ი. მაჩაბელი მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. თერგდალეულთა ტრადიციებზე და რუს რევოლუციური დემოკრატების იდეებზე აღზრდილი ი. მაჩაბელი ამ ტრადიციებს და იდეებს იცავდა და ავითარებდა გაზეთში. „დროება“ სისტემატურად აშუქებდა საკითხებს გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მუშათა მოძრაობისა და ქვეყნის ეკონომიური წარმატების შესახებ; ავითარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს და რაზმავდა საზოგადოებას მეფის თვითმპყრობელური რეჟიმისა და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

გაზეთს, როგორც ჰქონდა დავინახავთ, მეტად შეზღუდულ საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ ი. მაჩაბელი მაინც ახერხებდა სო-

ციალური და ეროვნული საკითხების მკაფიოდ დასმას და მოწინავე დემოკრატიული იდეების პროპაგანდას.

„დროება“ გარკვევით და მკვეთრად აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ჩენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის აუცილებელია მეურნეობის ძველი წესების უკუგდება, რომ კაპიტალისტური მეურნეობის დამკვიდრება ჩვენშიც გარდაუვალია: ამიტომ საჭიროა კაპიტალისტური წარმოების კანონების შეგდება-შეთვისება და ამ კანონების ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება.

1885 წლის 6 სექტემბრის მოწინავე სტატიაში „დროება“ ამის შესახებ წერდა: „ამ ასი წლის წინად სხვადასხვა მაშინების და წარმოების გამაძლიერებელნი საღსარნი და საშუალება მრავლად იქნენ მოგონილნი და დაჰბადეს ესრედ წოდებულნი კაპიტალისტური წარმოება, ფულგებრივი მეურნეობა.“

ამჟამად ფულმა და კაპიტალმა დაიპყრო ყველა სფერო ცხოვრებისა, მხოლოდ ფული და კაპიტალი შეიქმნა ძლიერ ფაქტორად ცხოვრების კოველმხრივი გაუმჯობესებისა და წარმატებისათვის. ეს წესები რუჟეთშიაც შეიყვინდა და დღეს წინა გაძლიერებას ველარათფერი ვერ შეაყენებს... იგივე ვითარება. რომელიც გამეფდა რუსეთში, ჩვენშიც ნელ-ნელა შემოვიდა და ამჟამად სრული ბატონი შეიქმნა ჩვენს ცხოვრებაში...“

ამ ახალმა ვითარებამ მალე მოუღო ბოლი ჩენის ძველი ცხოვრების წესება. ეს წესები სრულიად აღარ შეეფერებოდა იმ ახალ ვითარებას და, თუ მალე არ შევითვისეთ ეს ახალი ვითარება, ჩენი ეკონომიური კეთილდღეობა... საწინარეობაში ჩავარდება. მე ვამბობ ფულგებრივის შეგნეობის წესების შეთვისებაზე, კაპიტალისტურის წარმოების კანონების შეგნებაზე და ამ შეგნების შესატყობად მოქმედებაზე.

თუ ჩვენმა ერმა არ შეიგნოს ის საგანი, რომ ახალს ვითარებას აკლავდა, თუ ჩვენმა ერმა არ მიმართა ახალს წყაროებს წარმოებისას და ქვეყნისა სიმდიდრისას, იგი უკან ჩამორჩება საერთო მოძრაობას, საერთო წინსვლულობას...“

დღეს დრო სხვა გვარს მხნეობას ითხოვს ჩვენგან, დღეს დრო და ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ გაფაციცებით უნდა ვადღეუბდეთ თვალყურს ახალის წყაროს აღმოჩენას ქვეყნის წარმოების გასაძლიერებლად, სიმდიდრის გასამრავლებლად; ყოვლად საჭიროა უარყოთ ის აზიური ჩამომავლობის ანდაზა, რომელიც ამბობს: „რაც არ ექნას ზანაშენსა, ნურც შენ დაჰხვე მარმაშისაჲ.“—და ენერგიულად შევეუდგეთ ხენასა და თვისის გარდა, ტრადიციულის შეგნახეობის გარდა, სხვაგვარ წარმოების საქმეებსაც, სხვაგვარ სიმდიდრის წყაროების ექსპლოატაციასაც: ქვაგუნდა იქნება ეს წყარო, თუ ნავთი, გლაუბერის მარილი, თუ სპილენძის მადანი, აბრეშუმის წარმოება თუ ქვანახშირი, ხურმა და დარიშხანა...“

„დროების“ ზემოთ მოტანილი მოწინავე, რომელიც მისი რედაქტორის ი. მაჩაბლის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებას უნდა გამოხატავდეს, იმ

დროისათვის მეტად პროგრესულ აზრებს შეიცავს და ქვეყნის ეკონომიური განვითარების გზას გარკვეულად სახავს.

მგზნებარე პატრიოტი ი. მაჩაბელი, გმირულად იბრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისათვის. მაგრამ ისევე როგორც მისი მასწავლებლები—თერგდალეულები, ის სასტიკი წინააღმდეგი იყო ვიწრო ეროვნული მიმართულებისა, ნაციონალურ ჩარჩოებში ჩაიკეტვისა, ან როგორც თვითონ ამბობდა, „ეროვნების ვიწრო ბუდეში დაბუდების“.

„სამშობლო ქვეყნის სიყვარული (патриотизм)—წერდა „საქართველოს მოანბე“ 1863 წ.—უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან, ისე, როგორც ნაწილი მთელისაგან“, ამავე აზრს ავითარებდა ი. მაჩაბელი ვაზეთ „დროებაში“ ოთხმოციან წლებში. ცენზურის მიერ აკრძალულ ერთ თავის სტატიაში (იხ. საბ. № 9) 1885 წელს ის წერდა: „წარსულის შესწავლა, ეროვნების აღორძინება დიდად საჭიროა აწინდელს ჩვენს მდგომარეობაში, მაგრამ მარტო ეს ვერ უშველიყ ხალხის ბედნიერებას, მის კეთილმდგომარეობას, ვერ დააყენებს მას ნამდვილს წარმატების და განვითარების გზაზედ. აქ სხვა რამეც არის საჭირო და არა მარტო დაბუდეება ეროვნების ვიწრო ბუდეში. არც ერთ განათლებულს ხალხში ვიწრო მამულიშვილობითი მიმართულება და მოძღვრება არ შეადგენს დასაწყისს და დასასრულს მომქმედი პირის მოღვაწეობისას, მამულიშვილობითი მიმართულება და მოღვაწეობა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი აღმოცენილია საღ ნიადაგზედ და როცა ეს მიმართულება—როგორც თავისი სიერციით და სიფართოვით, აგრეთვე დედა-აზრით არ ეწინააღმდეგება იმ საზოგადო მიზანს, რომელსაც უნდა მისდევდეს ყველა ხალხი, როგორც ერთი წვეერთაგანი საერთო ოჯახისა—კაცობრიობისა.

ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი საზოგადოების სწავლა-განათლება ფართო კვალს დაადგება, საყოველთაო, საკაცობრიო მეცნიერებას დაეწაფება... ჩვენს დროში სამულდამოდ დაიმარხა ის სისტემა, რომელსაც მარტო ყველა ეროვნული „ჩვენ“ სწამდა და ამის მეტს უურადლებას არას აქცევდა... თვითეული ხალხი ეკუთვნის არა მარტო თავის თავს, არამედ სხვებსაც, სწორედ ისე, როგორც ცალკე კერძო პირი—საზოგადოებასაც და არა მარტო თავის თავს. სწავლა-განათლება, მოზარდი თაობის განვითარება, მისი გონებითი და ზნეობითი მიმართულება ამ კალაპოტში უნდა იყვეს მოთავსებული და კიდევ ამიტომ, სადაც ეს ასეა, იქ ხალხის გრძნობანი და მისწრაფებანი, უფრო კეთილშობილნი და წმინდანნი არიან.

ახლა ჩვენს ახალგაზრდობას, როგორც ჩანს უტყუარი ფაქტებიდან, დაეტყო ეროვნული გამოფხიზლება და არა იშვიათად შოისმის სურვილი ყველა ქართულის შესწავლისა. სწორედ ამ ახალგაზრდობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ეროვნულ განათლებასთანაც საჭიროა ჯეროვანი შეთვისება საზოგადო კაცობრიული მეცნიერების, და მხოლოდ ის კაცი იქნება ნამდვილი მამულიაშვილი, რომელსაც „თავისი“ საკმაოდ შეუსწავლია და საზოგადო მსოფლიო მეცნიერებაც შეუთვისებია“.

„დროების“ ამ მოწინავე სტატიის ავტორი ი. მაჩაბელი, როგორც ამ ამონაწერრიდან დავინახეთ, ნაციონალურ კარჩაქეტილობას სასტიკად გმობს და ახალ თაობის აღზრდას საღი პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მოითხოვს.

მეფის ცენზურამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღნიშნულ სტატიას და, ვარდა იმისა, რომ ის აკრძალა, დაბეჯითებით მოსთხოვა რედაქტორს, დაუყონებლივ ეცნობებია საცენზურო კომიტეტისათვის ამ მოწინავე სტატიის ავტორის ვინაობა.

გაზეთი „დროება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე შეზღუდული იყო მეფის ცენზურის მიერ, მაგრამ ოთხმოციან წლებში, მეტადრე მეფე ალექსანდრე II-მოკელის შემდეგ, როდესაც, როგორც რუსეთში, ისე განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, სასტიკი რეაქცია იწყება, „დროების“ მდგომარეობა მეტად აუტანელი ხდება. ყოველგვარი თავისუფალი აზრი იდევნება პრესიდან. პოლიტიკაზე საუბარი და მსჯელობა აკრძალულია, ეროვნულ განანათავისუფლებელი იდეების უბრალო წამოყენების ცდა შეუწყნარებლად ითვლება, სოციალური საკითხების ხსენებაც კი ცენზურის რისხვას იწვევს. მუშათა და გლეხთა მოძრაობაზე არა თუ მსჯელობას, უბრალო განცხადებასაც კრძალავენ. ნებადართულ სტატიებშიც ცენზურის მეღნითაა გათითხნილი ყველა ის ადგილი, რომელიც რაიმე საზოგადოებრივ ინტერესს შეეხება. რიგ წერილებში ამოშლილია სიტყვები: „ხალხი“, „ერის წარმომადგენლები“, „საქართველო“, „ამერეთი“, „იმერეთი“ და ა. შ.

ასეთ პირობებში გაზეთის ხელმძღვანელობა დიდ ძალ-ღონეს, მაგარ ხასიათს, ხერხსა და გამპრიანობას მოითხოვდა რედაქტორისაგან, რომ გაზეთი ცენზურის შემოტევას გამკლავებოდა. ი. მაჩაბელი სამი წლის განმავლობაში ყველა საშუალებას ხმარობდა გაზეთის ღირსების დასაცავად. ამ უთანასწორო ბრძოლაში იგი ზოგჯერ მუქარას, ზოგჯერ ხერხს მიმართავდა, რომ გაზეთის ფურცლებზე ქვეყნის საპირბოროტო საკითხები გაეშუქებია. ბრძოლამ ცენზურასთან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 1885 წელს მიიღო. ცენზურის გამანადგურებელმა ხელმა უამრავი წერილი მოსპო, რომ არ ღირსებოდა მას დღის სინათლეზე გამოტანა.

1885 წლის 10 იანვარს ცენზურამ დააკავა „დროების“ მოწინავე, რომელშიაც რედაქცია ეხებოდა დამპყრობელი სახელმწიფოების უხეშ-შემავიწროვებელ პოლიტიკას დაპყრობილი ხალხებისადმი. წერილის ავტორი მოითხოვდა, დიდ სახელმწიფოებს ანგარიში გაეწიათ პატარა ერების ზნე-ჩვეულებებისა და ეროვნული კულტურისათვის. მიუხედავად იმისა, რომ წერილში საკითხი პრინციპულად იყო დასმული და მეფის რუსეთი დასახელებული არ იყო (მაგალითები ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების ამბებს იხილავდა). ცენზურამ მაინც საპიროდ დაინახა მისი აკრძალვა (იხ. საბ. 8).

1885 წლის 30 იანვარს აიკრძალა „დროებისათვის“ აწყობილი ლექსი „მწყემსი“ (ჭეინდანი)<sup>1</sup>. ამავე წლის 24 აპრილის დადგენილებით ცენზურამ

<sup>1</sup> ცსა, ფონ. 480, საქ. 651, ფურ. 2.

აკრძალა პოეტ ბაჩანას ლექსი: „სიმღერა“—(„ვინა სთქვა საქართველოზედ, ეგ არის ლომი კედებოა“), მიუხედავად იმისა, რომ ლექსს ავტორის შემდეგი შენიშვნა ჰქონდა: „ეკუთნის 12-ე საუკუნეს, ვიდრე ქართველები ბოლოსტიკის ოსს გადაიხდიდნენ“.

1885 წლის 5 ივნისს საცენზურო კომიტეტმა აკრძალა თავისუფალი სვანის მიერ ჩაწერილი ლეგენდა: „სამაალზე სვანეთში“. „დროების“ რედაქტორი ამოდო ემუდარებოდა სულთამბუთავ ცენზორს—ლუკა ისარლიშვილს, რომ ხელნაწერი მაინც დაებრუნებია რედაქციისათვის: „ლუკა სტეპანიჩ! ეს მეორე ხელნაწერია, რასაც გიგზავნით ეჭარხოსისათვის გადასაცემად. ჯერ კი არც ერთი არ მიგვიღია უკან, თუ შეიძლება, დაგვიბრუნეთ ხოლმე უკანო“, სწერდა ი. მაჩაბელი ცენზორ ისარლიშვილს ამ უკანასკნელის მიერ აკრძალული ხელნაწერის ფურცელზე, მაგრამ საცენზურო კომიტეტის მრისხანე დადგენილებამ „Согласно отъезду экзарха, напечатание воспретить и удержать при делах“ შთანთქა ის. აქედან ნათელია, რომ არა მარტო ეროვნულ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ ხშირად სრულიად უბრალო ზოგად კულტურულ საკითხებზეც სასტიკად აკრძალული იყო ბეჭდვა.

ასეთივე რეზოლუცია დაადვა საცენზურო კომიტეტმა გაზეთ „დროებისათვის“ აწყობილ ე. მკედლიძის (აოსლეველის) მუხანათური მკვლევლობისადმი მიძღვნილ წერილს, რომელშიაც გაზეთის რედაქცია აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ნივთიერად ხელმოკლე ნიჭიერი მწერლების დასახმარებლად დაარსებულიყო ლიტერატურული ფონდი<sup>1</sup>,

იმავე წლის 26 ივნისის დადგენილებით აიკრძალა „დროებისათვის“ აწყობილი ცნობა (თუმცა ის რუსეთა არ ეხებოდა) იმის შესახებ, რომ მორავიის სატახტო ქალაქ ბრუნეში ამ ერთი კვირის წინათ მცირე უკმაყოფილება გამოიწვია ქარხნის მუშებში აბალმა საქარხაო წყაებმაო. „დროების“ რედაქცია თავის თანაგრძნობას არ მალავდა ამ ნუშებისადმი, რომლებიც ქარხნის პატრონების წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1885 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით აიკრძალა „დროებისათვის“ აწყობილი ცნობა იმის შესახებ, რომ გორის მაზრაში ჩაყენებულმა მთავრობის ეკზეკუციამ ხალხს ზარალი მიაყენა<sup>2</sup>. იმავე წლის 7 აგვისტოს საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს და დაუკავებია „დროებაში“ მოსათავსებლად აწყობილი შემდეგი ცნობა: „ჩრდილოეთ იტალიაში აჯანყებამ თავი იჩინა და მამულის პატრონებს დიდი ზარალი მიეცათ. ამ არეულობის გამო პოლიციას გაუჩხრეკია მუშა ხალხის სადგურებიო“. მარტო 1885 წლის ივნისსა და აგვისტოში ცენზურას აუკრძალავს უმეტესი ნაწილი „დროებისათვის“ აწყობილი სტატიებისა. ის წერილები კი, რომლებიც ცენზურას გაზეთ „დროებაში“ დასაბეჭდათ გაუშვია, შინაარს-გამარკული, გამოშვებული და სულამორთმეულია და, მასასადამე, საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც მოკლებული. ასეთია საცენზურო დუკლები 1885 წლის „დროებისა“, რომლებზედაც ცენზურის

1. ცსსა, ფონ. 480, საქ. 651, ფურ. 84.

2. ცსსა, ფან. 480, საქ. 651.

შემემუსვრელ ხელს ბეჯითად და ერთობ გულმოდგინედ უმუშაენია. ამას წერტილებით აკრელებული წერილები მოწმობენ.

ერთ-ერთ საცენზურო ფურცელზე, რომელიც საცენზურო კომიტეტს დაუკავებია, ი. მაჩაბლის ხელით წაწერილ აღმუთლებით სავსე სტრიქონებს ვკითხულობთ მეფის ერთგული ცენზორის ლუკა ისარლიშვილის მისამართით: „ლუკა სტეპანიჩ! თქვენ ისევ დაგვიწყეთ შევიწროვება, რა უბრალო რამეები ამოგვიშალეთ გულში. დაიჯერეთ, რომ „დროებისათვის“ ყოველთვის რუსული გაზეთებიდან ვიღებთ „დავისათვის“<sup>1</sup> ცნობებს, ხანდახან „კავკაზიდან“, „პრავიტ. ვესტნიკიდან“ და „ნოვ. ობოზ.-დან.“ და თუ არ მოგცემთ ამ უფლებას, გაგვაგებინეთ და სულ მოვსპობთ გაზეთს. დღეს, რაც ცნობებია, მოსკოვის გაზეთებიდან არის ამოღებული და „ნოვოსტი“-დან, ყოველის მხრივ ჩივილი მოგვდის—ვერადფერი ვერ გავიგეთ, რას იწერებით თქვენს გაზეთშიო. რა უნდა ვუპასუხოთ ჩვენ ისეთი, რომ ამ პასუხმა თქვენზე უკმაყოფილება არ გამოაცადებინოს საზოგადოებას. რად გნებავთ ეს?!“

ამ წარწერიდან ცხადად ჩანს, რომ საქართველოში იმის დაბეჭდვაც აკრძალული იყო, რაც რუსეთის ოფიციალურ ცენტრალურ გაზეთებში იყო მოთავსებული. ასეთ საცენზურო პირობებში გაზეთს და მის მესვეურებს მეტად უძნელდებოდათ პრესის მუშაკის ღირსების დაცვა და საზოგადოების წინაშე შოკალეობის შესრულება: მათ წინააღმდეგ დარაზმულად იბრძოდნენ მეფის ცენზურა, სასამართლო და ჟანდარმერია. ამას ხშირად ემატებოდა განეთის უსახსრობა, და ქართულ პრესაში სამსახური და შრომა ნამდვილი მანგერპლი იყო, გაზეთის მუშაკთაგან ქართული კულტურის სამსხვერპლოზე მიტანილი.

პრესის მუშაკის ამ სავალალო მდგომარეობას კარგად გვისურათებს გაზეთ „დროების“ 1885 წლის ერთი სტატია, რომელიც ი. მაჩაბელს უნდა ეკუთვნოდეს. მოუსმინოთ სტატიის ანტორს:

„გაზეთებისა და ჟურნალების ვარგისობა, ან უვარგისობა, იმაზედ არის დამოკიდებული, თუ მათში მშრომელნი რამდენად თავისუფალნი არიან, რამდენი დრო და მოცალეობა აქვთ ამ ფრიად საფრთხილო და საქირო საქმისათვის, რამდენად გარეშე ვითარებანი ხელს არ უშლიან მათს მოღვაწეობას და მათს გულისყურს სხვა საგნებისადმი არ მიაპყრობენ.

ნულარას ვიტყვიოთ აქ იმაზედ, რომ ჩვენში მწერლებს უქვევლად სხვა, ლიტერატურის გარეშე, საქმეც უნდა ჰქონდეთ, თუ თავის რჩენა უნდათ; იმაზედ ბევრი თქმულა, დაწერილა და ახალის თქმა და დაწერა ძნელია. აქ მივაქცევთ ყურადღებას სრულიად სხვა გარემოებას, რომელიც მწერალს მუდამ სისხლს უხდენს და თავის პირდაპირს საქმეს აცდენს.

თითქმის კვირა არ გაივლის, რომ ან გამომძიებლადამ, ან სასამართლო პალატიდამ უწყება არ მოგვივიდეს, რომელშიაც თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს იმარაბენ ცილის წამების, ან დიფამაციის გამო, უწყებაში არ არის მოხსენებული ვინ გიჩივით, რას გაჩივით. რაზედ გიჩივით. უნდა წახვიდეთ დაბარებისამებრ, დოკუმენტებს მოუყაროთ თავი, სასამართლოში გარჩევის

<sup>1</sup> ცენზურის მიერ დაკავებული ცნობების სათაურია: „დავა შუა ხაზში“.



დღეს გამოცხადდეთ, ბრალდებულთა სკამზე დაჯდეთ, იქ, სადაც თქვენზე წინად ქურდი ან კაცის მკვლელი იჯდა, და ზოლოს საქმე იმით უნდა გათავდეს, რომ სასამართლომ გამოავიცხადოთ, თქვენ ეხლა თავისუფალი ხართო; თქვენს მოპირდაპირეს კი, რომელიც ცილისწამებას გაბრალდებდათ, რომელსაც ადვოკატი არც კი დასჭირებია, რადგან მის მაგიერობას პროკურორი ჩადის, რომელსაც გარჩევის დღეს შეეძლო სასამართლოში არც კი დასწრებოდა და მხარეთქობზე წამოწოლილიყო.—ამ თქვენს მოპირდაპირეს ყოველივე ეს თქვენი გაბიადრუება დედის რძესავით უნდა შეერგოს; თუ გაგამტყუნებენ, ხომ რააკარგი; თუ არა და—ამაზედაც ბევრს არაფერს ინაღვლებს.

ამ მდგომარეობაშია ამჟამად ჩვენი მწერლობა და კიდევ სხვაც ბევრი აწუხებს მას, რაც მრავალს მკითხველს სიზმრადაც არ დასიზმრებია<sup>1</sup>.

1885 წლის განმავლობაში „დროების“ საცენზურო ფურცლებზე მეფის ცენზურის ტლანქმა და თავაშვებულმა თარეშმა გაზეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. ი. მაჩაბელი თავგამოდებით და მისთვის ჩვეული შეუპოვრობით იბრძოდა ცენზურის ჯალათური შემოტევის წინააღმდეგ და მთელი თავისი ენერჯით ცდილობდა „დროებისათვის“ ტრადიციულად შემუშავებული პროგრესულ-დემოკრატიული შინაარსი და მიმართულება შეენარჩუნებია.

გაზეთ „დროების“ არსებობის უკანასკნელ წლებში ეროვნული დენაც უფრო საგრძნობი გახდა. საშუალო სკოლებიდან ქართულ ენას ერეკებოდნენ. „დროების“ კითხვისათვის მოწაფეებს სასწავლებლიდან ითხოვდნენ; მაგრამ რაც უფრო მძლავრი იყო მეფის ჯალათების შემოტევა, გაზეთ „დროების“ ხმა მით უფრო მედგრად და შეუპოვრად გაისმოდა. ი. მაჩაბელი ქედმოუხრებლად იდგა ქართული ენის, ეროვნული კულტურის და სოციალური თავისუფლების დაცვის სადარაჯოზე. გაზეთ „დროების“ და მისი რედაქტორის ამ შეუპოვრობამ და ქედმოუხრებლობამ მეტად გააბრაზა მეფის რეჟიმის დამცველი ჯალათები—საცენზურო კომიტეტი და სასწავლო ოლქი.

1885 წლის სამ თებერვალს კავკასიის სასწავლო ოლქის შტრუნველი თავის მიმართვაში საცენზურო კომიტეტისადმი გაბოროტებით ილაშქრებდა გაზეთ „დროების“ მიმართულების და მისი რედაქტორის ი. მაჩაბლის წინააღმდეგ და მოითხოვდა აეკრძალათ აღნიშნული გაზეთის გავრცელება კავკასიის სასწავლებლების მოსწავლეთა შორის.

„Газета „Дрозда“ отличается постоянным вредным направлением для учащегося юношества, сферида ოლქის შტრუნველი საცენზურო კომიტეტს, печатая статьи, заключающие извращенные сведения об учебных заведениях Кавказского учебного округа.

Вместе с тем редакция „Дрозда“ не ограничивается печатанием подобных статей, но и бесплатно рассылает их по учебным заведениям для чтения учащимся“...

<sup>1</sup> იხ. „დროება“. 1885 წ. № 160.

საცენზურო კომიტეტმა პასუხი მოსთხოვა რედაქციას: ვისი მოთხოვნით იგზავნებოდა ზონის სამისწავლებლო სენინარიში გაზეთი „დროება“, რაზნადაც ი. მაჩაბელმა მეტად შეაკრად უპასუხა კომიტეტს, რომ ეს საკითხი ეხება კომერციულ მხარეს და გაზეთის საადრეულობას წარმოადგენს და კომიტეტს არა აქვს უფლება ასეთი მოთხოვნის გასაყენოს გაზეთის რედაქციასთან (იხ.საბ. 12). მაჩაბლის ამ პასუხმა კიდევ უფრო გააძრავა საცენზურო კომიტეტი და ოლქის მზრუნველი.

1885 წლის 21 თებერვალს საცენზურო კომიტეტმა მოხსენება წარუდგინა მთავარმართებელს ივანე მაჩაბლის რედაქტორობიდან გადაყენების შესახებ, რასაც ის იმით ასაბუთებდა, რომ გაზეთი „დროება“ სისტემატურად იქცევა ყურადღებას თავისი ტენდენციური მიმართულებით—ამ გაზეთისათვის წარმოდგენილი სტატიები გაშვალულია მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ შეკერი თაველსებებით. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ასეთი მიმართულება სისტემატურად იდენება ცენზურის მიერ და ყველა ასეთი სტატიები იკრძალება ყოველგვარი მეწყენარებისა და შეღავათის გარეშე, გაზეთის რედაქცია აშკარა სიჯიუტით და დაჟინებით განაგრძობს ისეთივე სულიერკვეთებით გაყენთილი სტატიების წარმოდგენას განსახილველად და ცენზურის მითითებებს სრულიად უგულვებელყოფსო. მაჩაბელი მეტად უხეშად და ნაკრად იქცევა საცენზურო კომიტეტის მიმართ და კომიტეტს სრული რწმენით შეჰძრავს განაცხადოს, რომ სანამ მაჩაბელი დგას რედაქციის სთავეში, გაზეთი არ შესცვლის არც თავის მიმართულებას და არც იმ ხერხებს, რომელთაც ახლა ხმარობსო.

1885 წლის 22 თებერვალს კავკასიის საცენზურო კომიტეტი შემდეგს აკრებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს: თუ რამდენად შეკერი მოთხოვნას უყენებს გაზ. „დროებას“ ცენზურა, ეს იქიდან ჩანს, რომ გასული წლის განმავლობაში ქართული ჟურნალებიდან დაკავებული სტატიების ექვსი შემვიდნად მხოლოდ ერთ გაზეთ „დროებაზე“ მოდის და მხოლოდ ერთი შემვიდნად ყველა დანარჩენ გამოცემებზეო. გაზეთის არც ერთი ნომერი არ გამოდის, რომ იქიდან გამოვიცხული არ იყოს მთელი სტატიები ან ცალკეული ადგილები. ამისდა მიუხედავად საერთო მიმართულება გაზეთის რჩება არასასურველი და დასძინდა, რომ: „Несмотря на самое строгое и притязательное отношение цензуры к этой газете, редактор ее с упорством и настойчивостью продолжает представлять в цензуру такие статьи, которые, как ему очень хорошо известно, ни в коем случае не будут одобрены для печати“.

1885 წლის 6 აგვისტოს კავკასიის მთავარმართებელი თავის მიმართვაში შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „Редактор газеты „Дрозба“ И. Мачабели не перестает представлять в Цензуру для помещения в этой газете статьи, проникнутые враждебным правительству духом, резкими понятиями местного административного и учебного начальства и, хотя подобные статьи преследуются Цензурою и воспрещаются к печати, тем не менее статьи

подобного свойства в иносказательной и потому вполне цензурной форме проникают в газету и производят в известной местности и среди известного населения желательные для редакции весьма возбуждающее и вредное впечатление\*.

საკითხი „დროების“ და მისი რედაქტორის გარშემო ერთობ გამწვავდა. გაზეთის შესანიარჩუნებლად საჭირო იყო მსხვერპლის გაღება და ი. მაჩაბელი მზად იყო ეს მსხვერპლი გაეღო თავისი, გადადგომით. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ყველა საშუალებას მიმართავდა შეენარჩუნებია ერთადერთი ქართული გაზეთი. ქართული პრესის დიდი მოღვაწე—პოეტი ილია ჭავჭავაძე მზად იყო თავს ედღა „დროების“ რედაქტორის მოვალეობა. ი. მაჩაბელმა და ი. ჭავჭავაძემ ამის შესახებ შეთანხმებული განცხადება წარუდგინეს მთავარმართებელს. მაგრამ კავკასიის საცენზურო კომიტეტი ამ განზრახვას წინაუღდა.

1885 წლის აგვისტოს 28-ს კავკასიის საცენზურო კომიტეტი იტყობინებდა მთავარმართებლის კანცელარიას, რომ ვაზ. „დროების“ ი. ჭავჭავაძისათვის გადაცემა არასასურველია შემდეგ მოსაზრებათა გამო: „თუმცა „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძეა, მაგრამ, როგორც ცნობილია ცენზურისათვის, მაჩაბელი ისეთ ახლო მონაწილეობას იღებს ამ ეურნალის გამოცემაში, რომ „დროების“ და „ივერიის“ ტონი და მიმართულება საერთოდ ანალოგიურია და ექვი არ არის, რომ ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბლის უახლოესი მონაწილეობის გარეშე, არ წარმართავს გაზეთ „დროების“ მუშაობას და ნაგარაუდვეი გადაცემა, არსებითად, სრულიად ფიქტიური იქნება. საქმის ბატონ-პატრონად ისევ ივანე მაჩაბელი დარჩება. საბაბიც არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჭავჭავაძემ მიიღოს რაიმე ზომები „დროების“ მიმართულების შესაცვლელად“.

1885 წლის 14 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა „დროების“ გამოცემის სრულიად შეწყვეტის შესახებ, ხოლო ი. მაჩაბელს სამუდამოთ აეკრძალა რაიმე გამოცემის რედაქტორობა (იხ. საბ. 27, 28). 14 სექტემბერს დროების უკანასკნელი ნომერი გამოვიდა.

ამრიგად 1885 წლის 15 სექტემბრიდან სამუდამოდ შეწყვიტა მაჯისცემა ერთადერთმა ქართულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „დროებამ“, რომელიც 20 წლის მანძილზე ქართული პროგრესული აზროვნების ნამდვილ ჩირაღდანს წარმოადგენდა, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზე მტკიცედ იდგა და რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდა.

ქართული პროგრესული-დემოკრატიულ პრესის ქედმოუხრელი რაინდი ივანე მაჩაბელიც ამ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა.

1897 წლის იანვარში ი. მაჩაბელმა ერთხელ კიდევ სცადა აღედგინა ყოველდღიური გაზეთი „დროება“, რისთვისაც მან შუამდგომლობით მიმართა ბეჰვდითი საქმეთა მთავარ სამმართველოს და სათანადო პროგრამაც წარუდგინა მას (იხ. საბ. № 32), მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო.

იმავე წლის ივნისში ი. მაჩაბელმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა, რომ მისთვის ნება დაერთოთ ყოველდღიური გაზეთის „სიმის“ გამოცემაზე, მაგრამ კვიკასიის საცენზურო კომიტეტმა ი. მაჩაბლის წარსული საეურნალო მოღვაწეობის შესახებ უარყოფითი დახასიათება გაუგზავნა მთავარ სამმართველოს: „Проситель—წერდა საცენზურო კომიტეტი ი. მაჩაბელის შესახებ—ранее состоял редактором газеты „Дрозд“, прекращенной в 1885 г. ввиду крайне вредного направления... Со времени прекращения издания „Дрозд“ прошло 12 лет, в течение которых проситель не занимался публицистикой, почему и не представляется возможным сказать что либо определенное о его теперешнем образе мыслей“ (იხ. საბ. 34), ამის გამო ბეკლეთი საქმეთა მთავარ სამმართველომ ი. მაჩაბელს ამ უკანასკნელ შუამდგომლობაზეც უარით უპასუხა.

ამრიგად, თითქმის 13 წლის განმავლობაში საგაზეთო მუშაობას ჩამოშორებული ი. მაჩაბელი ამჟამად ცდილობდა დაბრუნებოდა თავის საყვარელ ასპარეზს. პოესის ჯალათ მეფის ცენზორებმა და უკუღმართმა რეჟიმმა იგი სრულებით და სამუდამოდ მოსწყვეტეს საეურნალო მოღვაწეობას და მას საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ყოველგვარი გაქანების საშუალება მოუსპეს.

მართალია, საეურნალო მუშაობას ჩამოშორებული ი. მაჩაბელი 1885 წლის შემდეგაც იღწეოდა საზოგადოებრივი სარბიელის სხვადასხვა უბანზე. ასე, მაგალითად, დიდის ენერგიით და სიყვარულით განაგრძობდა ის შექსპირის დრამების თარგმნას, ფრიად სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, როგორც გამგეობის და საზოგადოების აქტიური წევრი; გულმოდგინეთ ემსახურებოდა დრამატულ საზოგადოებას, დიდის ინტერესით ეკიდებოდა საბანკო საქმეებს და ყველგან თავისი სასარგებლო წვლილი შეჰქონდა. მაგრამ ერთხელ უკუღმართად მობრუნებული მისი ცხოვრების ჩარხი წალმა აღარ დატრიალებულა, და, ბოლოს, ი. მაჩაბლის ცხოვრება ტრალიკულ დასასრულამდე მივიდა კიდევ-საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი სარბიელის ზემოაღნიშნულ უბნებზეც მაჩაბლის გარშემო უკანასკნელ წლებში მეტად აუტანელი ატმოსფერო შეიქმნა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი საბანკო საქმეების გარშემო ატეხილნი დავამ.

უთანხმოება, რომელიც ბანკის საქმეების გამო ოთხმოციან წლებს მგორე ნახევარში გამომქლავდა, ოთხმოცდაათიან წლების პირველ ნახევარში ერთობ გამწვავდა. ამ უთანხმოებამ და დავამ ბევრი დრო და სასიცოცხლო ენერგია წაართვა ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს.

(უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის გარშემო ატეხილი დავა და მასზე ამდენი სასიცოცხლო ძალების გადაღევა, რასაც ვერ ასცდნენ ზოგიერთი მოწი-

ნავე აღამიანებიც, აიხსნებოდა არა წამოყენებული საკითხის მნიშვნელობით<sup>1</sup>, არამედ იმ უკუღმართი და დღეპირი პირობებით, რომელშიაც მათ უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა).

ი. მაჩაბელმაც დაძაბულ ბრძოლაში გაატარა უკანასკნელი წლები და მთელი ძალღონე ამ დავას შეაღია. ბოლოს ის იძულებული გახდა სრულიად გასცლოდა სათავადაზნაურო ბანკს. ხოლო თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსაც ჩამოშორდა და მხოლოდ გორის სამეურნეო ამხანაგობაში მუშაობდა (1897 წლის ოქტომბრიდან).

მოუსვენარმა შრომამ და ბრძოლამ უკუღმართი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, დახშულმა საზოგადოებრივმა ატმოსფერომ ი. მაჩაბლის სულიერი მდგომარეობა მოწამლა და ფიზიკური ჯანმრთელობაც ძალზე შეაჩუჩა. 1897 წლის მაის-ივნისში მძიმე სენით შეპყრობილი (ჩირქოვანი პლევრიტი) იგი ლოგინად ჩავარდა.

1897 წლის 1 ივნისს ეურნალი „კვალი“ გულთბილის თანაგრძობით აღწერდა საზოგადოებას ი. მაჩაბლის მძიმე ავადმყოფობის შესახებ: „ჩვენი ცნობილი მოღვაწე ი. მაჩაბელი ეს თითქმის ერთი თვეა ავად არის. ეისურვებთ მის კეთილად მორჩენასო“<sup>2</sup> ხოლო ერთი თვის შემდეგ, იმავე წლის 30 ივნისს ეურნალი „მწყემისი“ აცხადებდა: „ბ. ი. მაჩაბელს აპერაცია რეზექცია) გაუკეთეს. ავადნყოფი შესამჩნევად მთელდება. ჩვენში რომ იტყვიან „სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯესო“, სწორედ ბ. ი. მაჩაბელზე აარულდა. რაა კაცის ხასიათი. მისი მტრებიც კი სწუხდნენ მის მძიმე ავადმყოფობაზე“<sup>3</sup>.

ი. მაჩაბლის ჯანმრთელობის მდგომარეობამ საზოგადოების თანაგრძობა გააძლიერა მისდამი, მაგრამ გვიან იყო. 1898 წლის 26 ივნისს ი. მაჩაბელი უგზო-უკლოდ დაიკარგა.

ჩვენს პუბლიკაციაში მოტანილი საბუთებიდან ჩანს, რომ ი. მაჩაბელი 1898 წლის 26 ივნისს დილის 4 საათზე ბინიდან გასულა და შემდეგ აღარ დაბრუნებულა. ეს ამბავი იმ დღესვე გახდა ცნობილი მთავრობის ორგანოებისათვის და მაშინვე შედგომიან მის ძებნას და საქმის გამოძიებას. გამოძიების შედეგად შექმნილი დოკუმენტაციიდან ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. ამ მასალებია მიხედვით შესაძლებელი ხდება მაჩაბლის დაკარგვის ზოგიერთი მომენტის დადგენა.

თბილისის პირველი უბნის ბოქაულის მიერ შედგენილ ოქმში აღნიშნულია, რომ ი. მაჩაბელი ოლღას ქუჩით (ეხლანდელი ლენინის ქ.) მიმავალი საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ დილით ადრე უნახავთ 1 უბნის პოლიციე-

<sup>1</sup> მართალია, ბანკის სახსრებიდან ზოგი რამ ქართული ეროვნული კულტურის განმტკიცების საქმესაც წმარდებოდა, როგორც იყო, მაგალითად, ქართველთა შორის წ. კ. გამაგრცლებელი საზოგადოებისათვის დახმარება, ქართული სკოლების მოწყობა, თეატრის აღორძინება და სხვა, მაგრამ ამისდამიუხედავად სათავადაზნაურო ბანკს ქვეყნის აღორძინების საქმეში არც იმდენი სარგებლობა მოუტანია, რომ ეს ვალდებულ მსხვერპლად ღირებულყოფ.

<sup>2</sup> ეურნ. „კვალი“, 1897 წ. № 23.

<sup>3</sup> ეურნ. „მწყემისი“, 1897 წ. № 12.

ლებს (გოროდოვოებ-) კუშამალოვსა და ნაუმ ბადალოვს. ხენიბული პოლიციელების ჩვენებით, ი. მაჩაბელი 26 ივნისს დილის 4 საათზე „სრულიად მშვიდად“ მიდიოდა გოლოვინის პროსპექტისაკენ (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი).

„მავე საბუთის მიხედვით 26 ივნისს დილის 4 საათზე, ი. მაჩაბელი უნახავს მისი ბინის პირდაპირ მცხოვრებ მეპატრონე ანტონ ერადეს. ერადის ჩვენებით აივანზე გადმოდგარ ი. მაჩაბელს ქუჩიდან რუსულ ენაზე ესაუბრებოდა ვილაც ვერაპულ ტანსაცმელში ჩაცმული კაცი. რუსული ენის უცოდინარობის გამო ერადეს საუბრის შინაარსი ვერ გაუგია. ამ გარემოებას ადასტურებს ოლღას ქუჩაზე მცხოვრები მარიამ ცისკარიშვილიც, რომელსაც აგრეთვე დაუნახავს, რომ 26 ივნისს დილის 4 საათზე აივანზე გამოსულ ი. მაჩაბელს, ქუჩიდან ვილაც კაცი ელაპარაკებოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> სხვა საბუთის მიხედვით ეს უცნობი კაცი უნდა გოვლილია ლეე ტოლსტოის უფროსი ვაჟი, რომელიც იმ დროს (ივნისის დასაწყისიდან) თავის ძმასთან ერთად თბილისში სასტუმრო „ბოიარსკიე ნოჰრა“-ში ცხოვრობდა. ლ. ტოლსტოის ვაჟი ი. მაჩაბლისათვის გაუცნობიანი დუხობორების საქმესთან დაკავშირებით იმ დროს გადასახლებულ ილია ნაჯაშვიის ნათესავებს და ამის შემდეგ ტოლსტოი და ი. მაჩაბელი ერთმანეთს ხშირად ხედებოდნენ, როგორც ნაჯაშვიის, ისე მაჩაბლის ბინაზე.

ლეე ტოლსტოის ვაჟები მამის დავლებით იყვნენ ჩამოსული თბილისში და უცხოპო-რების კანდაში გადასახლების საქმეს სულმძღვენელობდნენ.

ლეე ტოლსტოი, როგორც ცნობილია და საარქივო საბუთებიდან ჩანს, დიდად თანაუგრძნობდა მეუის მთავრობის მიერ შევიწროებულ დუხობორებს და მათ აქტიურ დახმარებას უწყევდა კანდაში გადასახლების საქმეში.

ამ მიზნით მან ბერკუერ იზუამდგომლა კეკელიძის მთავარმართებლის გოლიცინია წინაშე, რათა ამ უკანასკნელს გამოეთხოვა მთავრობის იგბართვა დუხობორების სახლგარეშე გამგზავრების შესახებ.

1897 წელს პრინციპულად გადაწყვედა დუხობორების გადასახლების საკითხი, მაგრამ ფაქტობრივად მათი გადასახლებისათვის სამხადის თითქმის ერთი წელი დასჭირდა.

1898 წლის ივნისში უკვე მზად იყო დუხობორების პირველი პარტია ბათუმიდან სახლგარეშე გასამგზავრებლად. (ბათუმში ზეკრებილ დუხობორებს პოლიციამ ხელწერილებიც ჩამოართვა. რომ ისინი გადასახლებიდან უკან აღარ დაბრუნებულყვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხიორში გადასახლება მოელოდათ), ლეე ტოლსტოიმ გადასახლებლად განმზადებულ დუხობორებს მატერიალური დახმარებაც აღწოწინა. მან 35,000 მანეთი გადასცა დუხობორთა დამხმარე კომიტეტს.

დუხობორების გამგზავრებას მხოლოდ ერთი გარემოება აბრკოლებდა, მათ არ ჰქავდათ ინგლისური ენის მცოდნე კაციაგყოლი, რომელიც ნიკებმარებოდათ გემის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების და ურთიერთობის საწარმოებლად.

1893 წლის 4 ივნისს ლეე ტოლსტოი ამის შესახებ კეკელიძის მთავარმართებელს გოლიცინს შემდეგ სწერდა: *Английское общество Быверов, оставившее комитет для помощи переселяющимся с Кавказа духоборам, просит меня выслать в Батум человека, который бы мог помочь духоборам в сношениях с пароходными компаниями. Я бы хотел направить туда знакомого мне... моего человека Льва Суллержикского, знающего морское дело и могущего объясняться по английски. Но для этого нужна разрешено вашего вмешательства, о котором я прошу вас.* (ქსა, ფონ. 1087, საქ. 1059)

კეკელიძის მთავარმართებელმა ნება დართო სულერჯიკის ყირიმიდან (სადაც ის იმ დროს იმყოფებოდა) ბათუმში ჩამოსულიყო, ხოლო ლეე ტოლსტოის დეჰემით აცნობა:

ამ კაცის წასვლის წმინდვე ი. მაჩაბელიც უმალ გაასოფლა ბინადან და გამგზავრებულა ქალაქის მიმართულებით.—გოლოვინის პროსპექტისაჲს. (იხ. საბ. № 37).

იმავე დღის 12 საათზე მაჩაბელს პუშკინის ბაღთან შეხვედრია მისი ნაცნობი მეკრავი ანდრია ფაველენიშვილი, ხოლო დღის 1 საათზე ავლაბრის ხიდზე ნი-მავალი მაჩაბელი უნახავს ექიმ ალექსანდრე იაკობია ძე მამინოს და მისალმებია მას. (საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ დროს სწორედ ავლაბრის ხიდის მასლი-ბლად, რიყის ქუჩაზე დაბანაკებული იყო საზღვარგარეთ გამგზავრების მოლო-დინში დუხობორების ერთი ჯგუფი). ამის შემდეგ მაჩაბლის მხახველი საბო-თებიდან აღარავინ ჩანს.

თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინებაში აღ-ნიშნულია, რომ ი. მაჩაბლის დაკარგვის შემდეგ გორის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის (სადაც ი. მაჩაბელი დირექტორ-განმკარგულებლის თანამდებო-ბას ასრულებდა) საქმეები და ფული 8.000 მანეთი სრულ წესრიგში და უკლებლივ აღმოჩნდა მის ბინაზე. ამავე საბუთებიდან ჩანს, რომ დაკარგვის წინაღობით, 25 ივნისს, ი. მაჩაბელს ბანკიდან გამოუტანია მისი კუთვნილი 2.000 მანეთი, რაც თან წაუღია.

1898 წლის 5 ივლისს ეურნალი „კვალი“ ნწყუბარებით აუწყებდა ქარ-თველ საზოგადოებას ი. მაჩაბლის დაკარგვის შესახებ: „ეს ათი დღეა ივანე მაჩაბელი დაიკარგა. პოლიცია, ნაოესაღები და მეგობრები დაძებნენ, შარა დღემდის მისი კვალიც ვერ აღმოაჩინეს. უტყვევლია, აქ რალაც დიდი საი-დუმლოება უნდა იყოს და, როგორც ჩანს, ამის გამოაშკარაება დიდ დროს მოითხოვს“.<sup>1</sup>

„X сопровождению Сулержицкии духовоборов на остров Кипр ирениатствий не имели при условии получения ими установленного заграничного паспорта“. (ცხა, ფან, 1087, საქ. 1059). მაგრამ სულერეციის საზღვარგარეთის პასპორტის მიღება მეტად გაუძნელეს და გაუჭიანუეს პოლიციის დეპარტამენტში.

შინაგან საქმეთა მინისტრი კი კავკასიის პეტავრმართებულს აფრთხილებდა, რომ მას არ დეშე: ტოლსტოველების დაბლუება ან რაიმე ურთიერთობა დუხობორებთან და თანაც ატყობინებდა, რომ მას შეუფერებლად მიანია ლვე ტოლსტოის მოძღვრების ერთ-ერთი თაჲ-გამოდებული მიზღვერის სულერეციის ბათუმში შექმნილ დუხობორებთან შეხვედრა.

ლვე ტოლსტოის მრავალჯიან შემდგომობისა გოლოვინისადმი და უკანასკნელის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ახსნა-განმარტების გაგზავნის შიღვად სულერეციკიმ საზღვარ-გარეთ გამგზავრების პასპორტი მხოლოდ 1898 წლის დეკემბრის დამღვეს მიიღო, როდესაც დუხობორებია უკანასკნელი (ნესამე) პარტია მიემგზავრებოდა კანადაში.

დუხობორების პირველი პარტია კი, რომელიც იმავე წლის ივნისიდან უკვე ბათუმში იმყოფებოდა, უბინაობითა და უსახსრობით შეიწროებული მეტად ღელავდა, და მოითხოვდა დეჲქარებიათ მისი გამგზავრება საზღვარგარეთ. (ტოლსტოის ვუების მიყადინებით და ხელ-მღვენელობით ამ პარტიის გადასახლება ივლისიდან მოეწყო).

ლვე ტოლსტოის უფროსი ვაჟის და ი. მაჩაბლის დახლოება და ხშირი შეხვედრები ივნისის განმავლობაში, საფიქრებელია. ამ გარემოებით აიხსნებოდა. ტოლსტოის ვაჟები ეტებ-დენ ინგლისური ენის მოღვე კაც დუხობორების დასახმარებლად. ი. მაჩაბელს კი (რომელ-საც საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული განათლება და რომელიც კარვად ფლობდა ინგლისურ

<sup>1</sup> ეურ. „კვალი“. 1898 წ., № 28.

საბუთები და აგრეთვე მახლობელთა განცხადებანი ადასტურებენ, რომ საჟურნალო და საზოგადოებრივ მუშაობას ჩამოშორებული, მძიმედ დაავადებული, უსაგნოდ დარჩენილი ი. მაჩაბელი, რომელიც აკაკის დახასიათებით „შრომის მოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქოდ ვერ დაოგებოდა“, სასოწარკვეთილებამ მოიცვა და განეშორა სამშობლოს იმ გადაწყვეტილებით, რომ არასოდეს აღარ დაბრუნებულყო. ეს გადაწყვეტილება, როგორც საბუთებიდან ჩანს, იცოდა ი. მაჩაბლის მეუღლეც — ანასტასიამ (იხ. საბ № 37) ამას ი. მაჩაბლის ასული ელენე ჩერქეზიშვილიც ადასტურებს, რომლიც ვადმოცემით, დედა მისი — ანასტასია მაჩაბლისა — სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დარწმუნებული იყო, რომ მისი საყვარელი მეუღლე გადაიფიქრებდა და დაბრუნდებოდა.

ი. მაჩაბლის დაქარგვის წლისთავისადმი მიძღვნილი აკაკის წერილიც „რალა მკედარი და რალა შინმოუსვლელი“ ამას გვაფიქრებინებს. ამ წერილში აკაკის ი. მაჩაბლის სამშობლოდან გადახვეწის მიზეზად უკუღმართი რეაქციული რეჟიმი და საზოგადოებრივი ასპარეზიდან მისი ჩამოშორება მიაჩნია. „რამ აიძულა ის კაცი (ი. მაჩაბელი — ი. ი.), რომ გაქცეულიყო“ — სვამს კითხვას ხსენებულ წერილში აკაკი და დაასკვნის — თავდაპირველი მიზეზი ეს თესვი უბედურებისა მისი საზოგადო მოღვაწეობა იყო<sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ აკაკი წერეთელს, რომელიც 25 ივნისს ღამით მაჩაბლისას იმყოფებოდა, მისი ერთგული მეგობარი თავისი გადახვეწის საიდუმლოებას გაანდობდა: ი. მაჩაბლის დაქარგვის გამო ერთ-ერთ შეკითხვაზე აკაკიმ ასე უპასუხა: „კაცმა რომ საიდუმლოება გაგანდოს, როგორ გააცხადებო“.

ი. მაჩაბლის სახსოვრად დაწერილი აკაკის ლექსი „პატარა ამბავი“ ამ მხრივ მეტად საგულისხმო და ბევრის მთქმელია.

ამ ლექსში აკაკი, გვიხასიათებს რა იშვიათის სისწორით ი. მაჩაბლის უმწიკველო საზოგადო მოღვაწეობას, მის დაქარგვაში ბრალს დებს უკუღმართ რეჟიმს და საზოგადოების გულგრილობას. ლექსში ვადმოცემულია ი. მაჩაბლის ობლების (ქალ-ვაჟის) საუბარი მ. მის მეგობართან — „მოიუც სტუმართან“ (ივულისხმება აკაკისთან) და ქარაგმულად რამდენადმე გახსნილია მისი დაქარგვის საიდუმლოება.

აკაკისის დიდი ინტერესის გამო მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად<sup>2</sup>:

ენას ჯერ კიდევ 1897 წლიდან. როდესაც პრინციპულად გადაწყდა დუხობორების გაუასახლება, გადაწყვეტილი ჰქონდა სამშობლოდან გადახვეწა ეს გადაწყვეტილება, როგორც საბუთებიდან ჩანს. მაშინ ნათესავებმა და მეგობრებმა გადაათქმევინეს. ამ ინტერესთა დამთხვევამ შესაძლოა გადაწყვიტა ი. მაჩაბლის გამგზავრება უცხოეთში დუხობორების პირველ პარტიასთან. ის ვარაუდობს, რომ ღვევ ტოლსტოის ვაჟი 26 ივნისს დილის 4 საათზე ი. მაჩაბლის სახლთან აღმოჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ როლსტოი მომხდარ ამბებთან უკილოდ კავშირში უნდა ყოფილიყო. როგორც ეს გამოიძიებააც ენიშნა თავის დროზე. როგორც ცნობილია. გადასახლებულ დუხობორების ერთი ნაწილი დაილუპა ჯერ კიდევ გზაში ვიდრე კიპროსამდე მიღწევდა. სოლომეორე ნაწილი ამოწყდა თვისი კიპროსზე მალარიისაგან. საფიქრებელია, რომ ამ დღეებში ი. მაჩაბელიც იყო.

<sup>1</sup> იხ. აკაკის წერილი „რალა მკედარი და რალა შინ მოუსვლელი“.

<sup>2</sup> ამ საგულისხმო ლექსზე, რომელიც მაჩაბლის გადახვეწას ამუღავნებს, სამწუხაროდ, ფლემდე არაა ჩუქრადღება არ შეუჩერებია.



გვითხარ, ძიავე: მაშაჩენნი  
სად წავიდა და ან როდის,  
რომ არსად სჩანს ამოდენ ხანს  
დაგვივიწყა და არ მოდის.

„ღედა ამბობს: მაშინ გეტყვით,  
თუ არ გატეხთ მის ანდერძსო  
და ქვეყნის ვალს აასრულებთ,  
თქვენ წილს ხვედრს და თქვენ-თქვენ კერძს“.

„რა ვალია ქვეყნის ვალი  
ან ანდერძი ჩვენი მამის?  
ამ თავითვე გვსურს შეტყობა  
შენგან, ძიავე, მხოლოდ ამის“.

ასე სთხოვდნენ ერთხელ სტუმარს  
ორი და-ძმა პაწაწინა,  
და მათ გამგონ მოხუცებულს  
თვალთ ცრემლღები მოედინა.

ოხვრით უთხრა: „ეჰ რა ვითხრათ:  
ჯერ ადრეა ხომ თქვენთვის ეს,  
მისი ქცევა, მისი ღვაწლი,  
დიდებმაც რომ ვერ გაიგეს.

„მაგრამ გეტყვით: მუშა იყო,  
ქვეყნის მუშა, სამსხვერპლოდ მზა,  
და სიწმინდით გაიარა  
ამ ცხოვრების მან მოკლე გზა.

მართლის მთქპელი, მართლის ჩქნელი“  
გულკეთილი, ენაწარე!  
საპირადოდ არ ჰყოლია  
არც მტერი და არც მოყვარე!

„საზოგადოს მიმდევარი,  
ივიწყებდა კერძოს ხშირად;  
ქვეყნის ლხინი ლხინად უჩნდა,  
ქვეყნის ჰირი სჰირდა ჰირად.

„ერთხელ მითხრა: „ცოლსა და შვილს  
მოვეკიდე იმ განზრახვით,  
რომ ვაუმარდე გასაჰირში  
აღერსით და მაჲი ნახვით.

„და, ხომ ხედავ, მადლობა ღმერთს.  
ამისრულდა ეს სურვილი,  
რალას მიზამს გარეთ მწარე,  
თუ შინ მელის რამე ტკბილი“.

„ასე გრძნობდა ვით მოღვაწე  
უძლეველად თავის მგონი,

მაგრამ, ვაი რომ სულ სხვაა  
ქვეყნის წესი და კანონი.

„უსამართლო, უკულმართი,  
რაც არ სურს, არ ვაიგონებს,  
ან სულ გასრესს მის მეურჩეს,  
და ან ბოლოს დაიმონებს.

„შამათქვენსაც ეს ხედა წილად  
იმ უსწორო ბრძოლა ომში,  
და ნიშანში ამოიღეს  
უსამართლოდ თვისვე ტომში.

„არ ყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას,  
როცა მეფობს მრუდე ძალა“  
ასე სთქვა და ცხოვრებას სულ  
მოეშორა, მოეცალა.

„მაგრამ როგორ, ჯერ არ ვიცით.  
მეტი რომ ვსთქვათ, არ გვაქვს ნება.  
ჯერ ეს იყოს, რაც ვითხარით,  
და მერე კი სხვაც იქნება“.

აქ საინტერესოა პოეტის განცხადება იმის შესახებ, რომ სასოწარ-კვეთილებამდე მიყვანილი საზოგადო მოღვაწე ი. მაჩაბელი „ცხოვრებას სულ მოეშორა, მოეცალა,“ და მეორე „მეტი რომ ვსთქვათ, არ გვაქვს ნება“. პოეტის დაპირება გაემტკიცებოდა, როგორც იყო შემდეგი სვებედი და. კარგულისა „და მერე კი სხვაც იქნება“, სამწუხაროდ საიდუმლოებად დარჩა-ამგვარად, საარქივო საბუთების და სხვა მასალების მიხედვით დანამდვილებით ირკვევა, რომ ი. მაჩაბელი 1898 წლის 26 ივნისს, დილის 4 საათზე არ დაღუპულა. ის იმ დღეს, როგორც საბუთებით მტკიცდება, დილის 4 საათზე სახლიდან გასულა და ნაშუადღევის პირველ საათამდე ჯერ კიდევ ქალაქში იმყოფებოდა. იმ დროს გავრცელებული ხმები და მითქმა-მოთქმა ი. მაჩაბლის 26 ივნისს დილის 4 საათზე საკუთარ ოჯახში დაღუპვის შესახებ განზრახ შეთხზული ჭორები იყო ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის განსაქიქებლად მოგონილი.

არსებული საარქივო საბუთები და მასალები კი გვაფიქრებინებს, რომ მძიმე სენით შეპყრობილი და სასოწარკვეთილებამდე მისული ი. მაჩაბელი სამშობლოდან გადაიხვეწა და სამუდამოდ დაიკარგა.

საგულისხმოა საარქივო საბუთებში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ სასოწარკვეთილი ი. მაჩაბელი ერთი წლის წინათაც აპირებდა ოჯახის დატოვებას და სამშობლოდან გადახვეწას იმ მიზეზით, რომ ოჯახს ამ ყოფაში ბედნიერებას ვერ მოვუტანო. ეს გადაწყვეტილება ცოლმა, ახლო ნათესავებმა და მეგობრებმაც იცოდნენ.

ი. მაჩაბლის ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას (როგორც ეს ზემოდაც შევნიშნეთ), ვფიქრობთ, ხელი შეუწყო დუხობორების გადასახლე-

ბამ, რომელიც სწორედ მაშინ (1898 წლის ივნის-ივლისში) მიმდინარეობდა, როდესაც ი. შაჩაბელი დაიქარგა.

უსაგნოდ დარჩენილი ი. შაჩაბლის ბედი, რომელმაც გადაწყვიტა სამშობლოს სულ გასცლოდა, რომ თავის საყვარელ მამულშიაც კი არ დამარხულიყო, ნ. ბარათაშვილის ბედს გვაგონებს, რომელმაც აგრეთვე „მრუდე ძალით“ და უსაგნობით შეძროწუნებულმა გადაწყვეტით წარმოსთქვა:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაპართ საფლავებს შორისო“.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბარათაშვილის ეს წინასწარმეტყველება თუმცა შესრულდა, მაგრამ მადლიერმა ქართველმა ხალხმა მისი ცხედარი ძონაბა და მშობლიურ მიწას მიაბარა. ი. შაჩაბლის ცხედარი კი დღემდე არ ვიცით, რომელმა მიწამ მიიბარა. არ ვიცით, სად განისვენებს ქართული დემოკრატული პრესის ეს თავგანწირული რაინდი.

\* \* \*

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ საარქივო მასალებს, რომლებშიაც ასახულია ი. შაჩაბლის მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ი. შაჩაბლის საკურნალო მოღვაწეობა და მისი ბრძოლა მეფის ცენზურის წინააღმდეგ. მასალები შეიცავს აგრეთვე ბიოგრაფიულ ცნობებს და კერძოთ ი. შაჩაბლის დაქარგვის ამბავს.

აუბლიკაციაში წარმოდგენილია სულ 37 საბუთი, რომლებიც დაკულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის კავკასიის. საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის, თბილისის გუბერნიის ჯანდარმთა სამმართველოს, სასინოლო კანტორის და განსაკუთრებულ საქმეთა ფონდებში.

1. 1554 წლის აპრილის 22.—ივანე ნაჩარალის დასაღვრის პეტრიკული მოწიება.

პეტრიკის წიგნის წლისა ნაწილი პირველი დამატებულიათვის.

საუბლავი დასაღვრულთა.	თემი და დღე.	წესდებოდა		წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი
		დღე	დღე				
მეტი	დღე	დღე	დღე	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი
მეტი	დღე	დღე	დღე	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი
დ.	დღე	დღე	დღე	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი	წოდება, სახელი, მ. შის სახელი და გვარი

ხელის მოწერა  
მოწიებთა, რომელთა  
თავა ჩაწერა  
სურვილისამებრ.

ვინ აღატრულა  
სადგომლო  
წაულისდებოდა.

დღევანდელ იონაზე  
ერთი კვლევა-სემ  
ნახსენებოდა.

თ. არსოდ ი. ი. ნი. ნი. ნი.  
ანდრეი ი. ი. ი.

გორის უბანის სოფლის  
თავადაწმინდის უბანის  
გორის სკანინის-მე ნ. ჩა-  
ბული მართლმადიდებლის  
სარწმუნოების აღს. რედაქცია  
და რეგულირების ქობულ-  
ნისით უკლებლივ ცოლი  
მისი ნატალია გი. რ. რ. რ.  
ასული სიმბილი სოფლის-  
ნის სარწმუნოებისა.

ქსა, ფონ. 489, საქ. 1041. დედანი, ხელით ნაწერი.

2. 1880 წლის მაისის 8.—ივანე მაჩაბლის მოხსენება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი „შეხახებ ოთარ ტუტურ მონარიძისაგან წარმოდგენილი წიგნისა მოთხრობანი ბუნებითი-მეცნიერებიდგან“, რომელსაც დევიზადა აქვს: „სწავლა ხინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“, „მამაძამური ანდაზა“, „რაც რომ იცი, ის ზურგზე ხომ არა გკიდია“, „გონიერული ანდაზა“.

ამ წიგნში არის ორი განყოფილება: პირველშია აწერილი ბუნება, დედამიწა, მზე, ვარსკვლავები და სხვადასხვა ბუნების მოვლენა; მეორეში ცალკე სტატიებად სხვადასხვა გვარის ცხოველების აღწერა და არ ვიცი, წიგნის ბოლოში მოქცეული სტატიაც „ვაშლის ხე როგორ იზრდება“, ცალკე განყოფილებას შეადგენს თუ არა.

